

რეალური სუვერენიტეტის გზით

საქართველოს სსრ მეთარეობა მოწვევის უზენაესი საჭოს რიგბარაჟი მეთხოველთა სსრ

20 ივნისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს რიგბარაჟი, მეთხოველთა სსრის სახელმწიფო იყვან რესპუბლიკის ხელმძღვანელი საბჭოთა, პარტიული, პროფკავშირული მუშაკები, შრომითი კოლექტივების, მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენტის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და მოძრაობების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. გ. გუმბარიძემ. დეპუტატებმა დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატებების შეტანა (საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 თებერვლის, 1921 წლის 24 მარტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების გაუქმების სხვა აქტების სამართლებრივი შეფასება) და ამ დადგენილების შემდგომი რეალიზაციის ღონისძიებანი; მიმართვა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების თაობაზე.
2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა.
3. საქართველოს მოქალაქეობის კანონის პროექტი.
4. საქართველოს უზენაესი საბჭოს საყოველთაო დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების კანონის პროექტი.

5. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებებისა და ასოციაციების კანონის პროექტი.

6. საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების კანონის პროექტი.

7. ალტერნატიული სამსახურის სამართლებრივი რეგლამენტაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები.

8. სსრ კავშირის მთელი რიგი კანონების შეფასება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე.

დღის წესრიგის გამო სესიაზე მოხსენება გააკეთა გ. გ. გუმბარიძემ.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, რესპუბლიკის სახელმწიფო საფეხვო კომიტეტის თავმჯდომარის, დეპუტატ გ. გ. ვარდღაშვილის ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების კანონის პროექტის თაობაზე.

ინფორმაცია ალტერნატიული სამსახურის სამართლებრივი რეგლამენტაციაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ვ. ქვიციანიძემ.

დღის წესრიგის გამო კამათი მოწვევით დაიწყო დეპუტატები გ. რ. ახათიანი, დ. ნ. დვალაშვილი, ჯ. ა. ჩარკვიანი, ა. ი. კახაძე, ვ. ა. შარაშენიძე, ნ. რ. ნათაძე, ვ. ა. პატიშვილი, გ. შ. ციციშვილი, ლ. ლ. ლომიძე, რ. შ. ჭეიჭვილი, ბ. ზ. მავაშვილი, თ. ი. ხაჩარაძე, თ. დ. ქინქვალიძე, რ. ა. ჯაფარიძე, კ. ა. გარდაშენიძე, ვ. პ. ვეჯინაძე, გ. ი. გუნავა.

სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატებათა შეტანის თაობაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭომ მიიღო მიმართვა რუსეთის სფსრ უზენაესი საბ-

ჭოსადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების გამო.

შემდეგ სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნის შესახებ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეიქმნას კომისია, რომელშიც შევლენ დეპუტატები და სპეციალისტები, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და მოძრაობების წარმომადგენლები.

გადაწყდა, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით, დაიხვეწოს და მომდევნო სესიის განსახილველად იქნეს გამოტანილი საქართველოს მოქალაქეობის კანონის პროექტი, აგრეთვე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საყოველთაო დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების კანონპროექტი: არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს არის დანიშნული. სესიამ მიზანშეწონილად მიიჩნია გაგრძელდეს მუშაობა მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის, პოლიტიკური პარტიებისა და მასობრივი მოძრაობების კანონის პროექტზე და უზრუნველყოფილი იქნას მისი შესატყვისობა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონის პროექტთან.

სესიამ პირველი წაკითხვით მიიღო საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლის კანონი. მთლიანად არის მოწონებული აგრეთვე ალტერნატიული (შრომითი) სამსახურის კანონი, რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, მიღებულია დადგენილება შეფასდეს სსრ კავშირის მთელი რიგი კანონები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე.

დეპუტატებმა დაამტკიცეს შესაბამისი დადგენილებანი: საქართველოს მოქალაქეობის კანონის პროექტის, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისა და არჩევნების დანიშ-

ნის კანონის ძირითადი კონცეფციის, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციების კანონის პროექტის თაობაზე.

სესიამ პირველი წაკითხვით მიიღო საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების კანონი და შესაბამისი დადგენილება.

მიიღეს ალტერნატიული (შრომითი) სამსახურის კანონი და შესაბამისი დადგენილება, აგრეთვე დადგენილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის მთელი რიგი კანონების შეფასების შესახებ.


დღის წესრიგის საკითხთა განხილვის დროს ზოგიერთ მთავარზე შენიშვნები და წინადადებანი გამოთქვეს დეპუტატებმა პ. ა. ჩხეიძემ, ე. ა. ბერიძემ, ზ. ა. კვაჭავაძემ, ნ. რ. ნათაძემ და რ. შ. ჭეიჭვილმა.

დეპუტატთა წინადადებით მიიღეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს განცხადება, რომელშიც ცნობენ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის თვითგამორკვევის უფლებას და პოლიტიკური ნებას, შექმნან ნამდვილად სუვერენული სახელმწიფოები, გამოთქმულია მზადყოფნა დაამყარონ პირდაპირი სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ურთიერთობა.

დეპუტატებმა მოიწონეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება რესპუბლიკის ტერიტორიაზე „დეკრეტული“ დროის გაუქმების შესახებ. ამ საკითხის გამო ახსნა-განმარტება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა ბ. დ. შაბარაშვილმა.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(სამინფორმაციო).



საქართველოს სსრ შიშხარაი კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 ივნისი, შაბათი, 1990 წ.

№ 116 (10 285) • შპსი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

კომენტარები ექსპრეს-ინტერვიუს დროს

სსოპრება ბრძოლა

ამ დღეებში საქართველოს სპორტულ სამყაროში ორმა მოვლენამ მიიპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. ერთი ქალ მოჭადრაკეთა საზონათორისო ტურნირში ნინო გურიელის მონაწილეობას ეხება, მეორე საქართველოს ქაბუკი ფალაგანთა მსოფლიო ჩემპიონატი გამოსვლასთან შექმნილ პრობლემას. როგორ განვითარდა მოვლენები? „ლელოს“ მკითხველებს სურთ უვლავფერი დაწვრთვებით შეიტყოს.

ბურიელი თუ ბალიაშვილი?

ეს კითხვა, რომელიც, სადაც წესკანონი არსებობს და ამ წეს-კანონს პატივს სცემენ, თავიდანვე თითქოს არც უნდა დასმულიყო, მაგრამ დღისეულად, დღისეულად არა გრძელდება, არამედ უფრო ძალმოძირობის პოზიციიდან, მუშაობის იმ დრო-მოქმედი სტილის მოშვებით, როცა ცენტრი იმას აკეთებდა, რასაც ჩაიფიქრებდა და იმას ჩაიფიქრებდა, რასაც მოისურვებდა. თუმცა რა კითხვა, ცენტრმა გადაწყვიტა საზონათორისო ტურნირში გალიაშვილის უნდა ესპარტა და არა გურიელს, რომელსაც ერთი საგზური კანონიერად ეკუთვნოდა.

ცენტრის ბრძოლის საწინააღმდეგო პრინციპული პოზიცია დაიკავეს საქართველოს სპორტსაკომისე და რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციამ, საქმეში ჩაერია საქართველოს მთავრობა, პირადად მისი თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა. მინისტრთა საბჭომ საკითხის მოგვარება დაავალა თავისი განყოფილებას. ამ განყოფილების ხელმძღვანელმა დათვი პერტენავამ კი თავის მხრივ ყველაფერი იღონა, რომ უსამართლობას გზა გადაეკეტა.

ექსპრეს-ინტერვიუ ნონა გაფრინდაშვილთან.

ქალბატონო ნონა, გურიელი-სადმი უსამართლო დამოკიდებულების ამბავი პირველდღეა თქვენ და ნანა ალექსანდრიამ შეიტყუო. იცით, „ლელო“ უკვე წერდა ამის შესახებ. თქვენ არაფერი დაამატებდით? — პროტესტზე, რომელიც, როგორც ფედერაციის ქალთა კომისიის თავმჯდომარემ ნანა ალექსანდრიამ გუ-

რეელის გამო გაუგზავნა კამპონანსს, პასუხი არ მოსულა. შემდეგ ფედერაციის პრეტესტი, როგორც საქართველოს მოჭადრაკე ქალთა კომისიის ხელმძღვანელმა. არც ამ მიმართებაზე მოსულა პასუხი. როგორც ჩანს, ყველა პროტესტზე რეაგირება მაინც მოხდა, მაგრამ მოხდა უხეშად. გურიელი მალაიზიის ტურნირზე დაუშვეს, როგორც თავდაპირველად იყო გადაწყვეტილი. თუმცა გული არც გალიაშვილის დაწყვეტას — იგი აზოვის ტურნირში დაუშვეს, როგორც ასპარეზობის მასპინძელი.

როგორ შეამდგენლობასთან გელოთ პაქრობა? — ძალიან ძლიერთან. ყველაზე ტიტულიანმა მოჭადრაკეებმა ამ ზონაში მოიყარა თავი. სულ 18 მოჭადრაკე ჩაებმება პაქრობაში.

გექნება თუ არა გურიელთან დაკავშირებული თემაზე საუბარი ფედერაციის წარმომადგენლებთან? — ვნახთ, ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა უკვე ტურნირში წარმატებით გამოვლავა.

ფალაგანები საბუთავს აფორმება

როგორც ცნობილია, ქვეყნის თავისუფალი სტილის ჭიდაობის ჭაბუკთა ნაკრებს ივლისის მეორე ნახევარში მსოფლიო პირველობაში ასპარეზობა ელის. „ლელოს“ მკითხველებმა ისიც იციან, რომ მსოფლიოში შეიქმნა თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა დამოუკიდებელი ფედერაცია და ქაბუკი ფალაგანების წლებად მსოფლიოს ჩემპიონატი მონაწილეობა სათუთ განსა და იმის გამო, რომ საკავშირო ფედერაციის არა აქვს ჩემპიონატი მონაწილეობისთვის დადგენილი საწევრო ვალუტის შეტანის შესაძლებლობა. ფედერაციამ ვალუტის შოვნა თვით იმ რესპუბლიკებს დაავალა, ვისი წარმომადგენლებიც ნაკრებში მოხვდნენ.

წინა ნომერში უკვე გამოქვეყნდა ცნობა, რომ გამოჩნდა სპონსორი — ცნობილია ფალაგანმა ლევან თელონიძემ საქართველოში — იაპონია მეგობრობის ასოციაციის სახელთ 2200 დოლარი გადასცა ჭიდაობის რესპუბლიკურ გაერთიანებას.

იმავე დღეს (21 ივნისი) გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ გვაცნობა, რომ ვალუტის უქონლობის გამო მსოფლიო ჩემპიონატი საბჭოთა ნაკრების მონაწილეობა ჩაიშალა. რა ხდება? ვფიქრობთ, საქართველოში ვალუტის გამოწვევის ფაქტი მსოფლიოში ჩერ არ იცოდნენ — ეს ერთი, მეორე — იქნებ თვით საკავშირო ფედერაცია წავიდა იოლ გზით — ყველაზე მარტივი გამოსავალი ხომ არ გამოჩნდა შექმნილი სიტუაციიდან?

„ლელოს“ ექსპრეს-ინტერვიუ ამ მოვლენასთან დაკავშირებით. რამდენიმე შეკითხვა ვიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების დირექტორს ომზარ შოშიტაშვილს.

იცოდნენ თუ არა მოსკოვში, რომ ჩვენი ვურუნველყოფილი საქართველოს ფალაგანების წილ შეტანა ვალუტას?

მეორე დღით, ე. ი. 21 ივნისს, მას შემდეგ რაც ლევან თელონიძემ 2200 დოლარი გადმოგვცა, პირადად ველაპარაკე იარიგინის და ვაუწყე ვალუტის შოვნის ამბავი. მან გვთხოვა სასწრაფოდ გავაფორმეთ საბუთები ნაკრების ჩვენს ექვს წევრზე და დამატებით კიდევ ორ მოჭიდავეზე, რომლებიც რეზერვში იქნებიან. ნაკრებში ორი მოსკოველია, ჩვენ ვიცოდით, მათთვის რსფსრ-მ გამოწვევა ვალუტა. ასე რომ, თუ სრული გუნდით არა, რვა წლით კატეგორიაში მაინც მიიღებს ნაკრები მონაწილეობას.

„სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია საიდან მიიღეს?

იარიგინმა ამის თაობაზე არაფერი იცოდა.

რატომ არ შეიძლება ჩემპიონატზე მთლიანად საქართველოს ნაკრები გამგზავრებულიყო, თუკი ვთქვათ, ხათანალო ვალუტა გამოინდებოდა? — ეს წინადადება ადრევე შევთავაზეთ ცენტრს, მაგრამ უარი მივიღეთ. უკიდურეს შემთხვევაში დამოუკიდებელი წავიდოდნენ, თუ საქართველოს გუნდი მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრების სახელით გამოვიდოდა. ამ წინადადებაზე ჩვენ არ დავთანხმდით.

თარბეტი ტურის შედეგ

აზოვი. მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის საზონათორისო ტურნირი ნელ-ნელა სადინო სწორს უახლოვდება. თერთმეტი ტურის შემდეგ მოწილოთა მდგომარეობა ასეთია: ე. პენი (ჩინეთი) — 8,5 ქულა; ე. კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია) — 7,5, ქ. არახანოვი, ქ. კახიანი, ა. გალიაშვილი, ს. პრუდნიკოვა (ყველა — სსრ კავშირი); ი. მადლი (უნგრეთი) — 6,5-6,5; ა. ბრუსტმანი — 6 (პოლონეთი, ერთი გადადებული პარტია); მ. ვოსიკა (ბულგარეთი) — 6, კ. ამურა (არგენტინა), ა. ბოტსარი (საბეჩინეთი) — 5,5-5,5; ც. ბაცეცევი (მონგოლეთი), ფ. უსკოვა (სსრ კავშირი) — 5; ი. ჩელუშკინა (სსრ კავშირი) — 4 (1); გ. ფინგოლი (ბელგია) — 3,5, ე. აშაგირი (იუგოსლავია) — 3, ა. სალაზარი (კოლუმბია) — 2,5; ი. ბურტმანი (აშშ) — 1,5.

შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა 6 ტური.



„მარტაჟი“! აგრ უკვე 10 წელზე მეტია ქართულ კალათბურთში გვეხვეს სახელი. ნორჩთა გუნდები, რომლებიც ამ მოხდენილ სახელს ტარებენ, ჩვენი კალათბურთის იმედად იქნენ. თაობას თაობა უვლის. დღეს ესტაფეტა მათ ხელშია, ვინც ახლა 11-12 წლიდან რესპუბლიკურ პირველობაში ასპარეზობენ. სწორედ ამ ასაკის ქაბუკთა რესპუბლიკური შეჯიბრება დამთავრდა გუშინწინ ვერის ბალის კალათბურთის სახალხლოში. „მარტაჟი“ (იხ. ფოტო) მოუფო „დინამოს“ 8:4 და ჩემპიონობა მოიპოვა.

„ლელო“ შეკითხვები დასვა • გამოხმაურება

17 ივნისს „ლელოში“ გამოქვეყნდა შეკითხვები თბილისის სახალხო დემუკრატია საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქალაქო საბჭოს მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს და დედაქალაქის სახალხო დემუკრატია უკვლა რაიონული საბჭოს ხელმძღვანელებისადმი. ამასთან, მოსახლეობას ვთხოვდით, რედაქციისათვის მოეწოდებინათ წინადადებები იმის შესახებ, სად შეიძლება გამოინახოს ხავარჯიშო ადგილი — როგორც საცხოვრებელ კორპუსებში (I ხართულის არასაცხოვრებელი ფართობი, ხარდაფი და ა. შ.), ისე ღია მოედნის მოსაწყობად. დღეს ვთავაზობთ მოსახლეობიდან მეორე გამოხმაურებას.

იმედს ნუ დაგვიპარავთ

გულსტაქივილს ვიზიარებთ ვაზისუბნის დასახლების მე-3 მიკრორაიონის I კვარტალის მცხოვრებთა სახელით. ჩვენს კვარტალში პირველ კორპუსთან არის სპორტული მოედნისათვის განკუთვნილი ადგილი, რომელიც მოასფალტებულია, მაგრამ არავის უზრუნია მოედნის კეთ...

თიღმორეობაზე, მის შემოკლებაზე. ნუ დაგვიპარავთ იმედს, ვთხოვთ რამე გვიშველოთ.

ლვთისო ლვთისიაშვილი, გომდარევი სუხიტაშვილი, რამიკო აბაშიძე, ღათო ვაღიძე, მურაზი ღვალიშვილი.

რედაქცია, პირველ უკვლისა, პასუხს რაიონის სახალხო დემუკრატია საბჭოს აღმასკომიდან დაელოდება.

პირველი გამოხმაურება

ოცნას თუ ოცდაათინ წლებში საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გზაზე ბევრი სიახლე იბადებოდა. მართალია 1921 წლიდან ახალმა ხელისუფლებამ სცადა სპორტშიც თავისი იდეები დაემკვიდრებინა, მაგრამ უფრო ადრე ჩაყრილი ფესვები ისე მძლავრი და ნაყოფიერი აღმოჩნდა, ახალ პირობებშიც კი განაგრძობდა სიცოცხლისუნარიანობას.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სპორტის ძველი ქართველი ენთუზიასტების წყალობით პირველად საქართველოში შეიქმნა სპორტული

რეტევი სხვადასხვა ტანვარჯიშული ნორმატივები.

მაგრამ ტექნიკუმის პირველმა გამოშვებებმა ნაწილობრივ თუ შეასრულეს თავიანთი მიზანი: ომი დაიწყო და აბა ამ ჯანმრთელ, ძლიერ ახალგაზრდებს ვინ დატოვებდა შინ, ამასთან ზოგი მოხალისედ წაიდა ფრონტზე.

შესანიშნავი ახალგაზრდობა სწავლობდა, — აგრძელებს მ. ჭეილესაშვილი, — კარგი მონაცემები ჰქონდა თემურ მაყაშვილს (იგი ფრონტზე დაიღუპა). კარგი სპორტსმენები იყვნენ ძმები შეყილაძეები, ძმები გოგინაშვილები — ვახტანგი და გიორგი, ვახტანგ ქორიძე, ფაცი ქაფიანიძე... ყველა ისინი ომში იბრძოდნენ, კალისტრატე შეყილაძე და ვახტანგ ქორიძე შინ აღარ დაბრუნებულან. ფრონტზე დაიღუპა ჩვენი მასწავლებელი ლეკო კობაიძეც.

სპორტის ბევრ სახეობას იყო დაუფლებული გიორგი ვარძელაშვილი (შემდგომი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი), ასევე გიორგი გოგინაშვილი.

კარგად დამამაზსოვრდა კალისტრატე პერტაია. მან ჭერ კიდევ მისაღებ გამოცდებზე გამოიჩინა თავი ყველა დისტანციაზე სირბილში, ხტომაში და ყუმბარის ტყორცაში. იგი ნიჭიერი ახალგაზრდა ვახლდათ და მალე ათვისა მაშინ მეტისმეტი ძნელი მძლეოსნობის სახეობა — ჭოკით ხტომა, მოკლე ხანში თბილისის ჩემპიონიც ვახდა.

კალისტრატეს ორ ომში მოუხდა მონაწილეობა — ფინელებისა და გერმანელების წინააღმდეგ, რომელშიც იგი მოხალისედ წაიდა. როგორც ვაგიფე, იგი 1943 წელს დაიღუპა. დასაფლავებულია იალბუხის ახლოს ბილიმის მძაბა სასაფლაოზე, აქ იგი კავკასიის ჭიშკარს იცავდა...

შემდგომ ტექნიკუმის ბევრმა კურსდამთავრებულმა ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი სტუდენტების რიგები შევავსეთ...

კოტე პარტაია,

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, შრომის ვეტერანი.



პირველად

საპარტიკლოში

თქვენ მოგაქვთ შესაქვლოვანი იხილოთ საავტომობილო რალი. რამლის მსაგავსი შეჯიბრება იქნება მთელს მსოფლიოში.

ავტორალის ოფიციალური დასახელებაა „ოქროს საწმისი-90“



ვაჭტობრივად მსაა ჭვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ღია პირველოვანი, რომელიც თბილისის შემოგარენში ჩატარდება 7-8 იხლისს.

ავტორალის ორგანიზატორები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და მისი საინჟინერო ცენტრი „არგონავტი“.

ეს არ იქნება მხოლოდ ავტომობილისათა შეჯიბრება. ავტორალის ჩატარების პროცესში მომყვობა მრავალი საანახოვარი-გასართობი და კომერციული ღონისძიება.

ორგანიზატორები თხოვენ ცალკეულ ორგანიზაციებს, ითხოვენ ასპარეზობის სკონსორტობა.

თამაგად შეიქვება ითქვას, ასეთი რანგის ასპარეზობა საპარტიკლოში, საწმუნაროდ, არ ჩატარებულა. „ოქროს საწმისი“ — ეს არის ჭვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ღია პირველოვანი საავტომობილო რალი რომელიც თბილისის შემოგარენში ჩატარდება.

რალის ჩატარების იდეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს გოჩა ჩოგოვაძეს ეკუთვნის. ამ წინადადებით მიმართა მან ტექნიკური უნივერსიტეტთან არსებულ სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ცენტრ „არგონავტებს“ (დირექტორი ნიკო ჩხაიძე). იდეა საქმიანოდ მიმზიდველი აღმოჩნდა და ცენტრმაც დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი მის ხორცშესხმას. არადა, სამუშაო საქმიანოდ დიდი მოცულობისა იყო — დაფინანსებით დაწყებული, ტრასის მოწყობითა და მომსახურებით დამთავრებული.

„ოქროს საწმისი“ ორგანიზატორებმა მოწვევა გაუგზავნეს ქვეყნის 40 უმაღლეს სასწავლებელსა და 60-მდე ახალგაზრდულ კლუბს, სადაც ავტოსპორტი დანერგილი. ჭეჩვრობით მონაწილეთა რაოდენობა საბოლოოდ გარკვეული არ არის, მაგრამ მსურველთა რიცხვი რომ დიდი იქნება, ამასი ეჭვი არავის ეპარება.

რალის ჩატარების იდეას ასეთი ხალისით იმითომ გამოვეხმაურეთ, რომ ერთი კონკრეტული შეჯიბრების გარდა, ჩვენ მასში უფრო ღრმა და სამომავლოდ გამიზნული გეგმები ვიგულისხმეთ. გვითხრა საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა, ვეტერანმა რალისტმა დავით ლოლუამ: — არავისთვის დასაძალი არ არის, რომ დღესდღეობით საავტომობილო სპორტი საქართველოში სავალალო მდგომარეობაშია. ამ საქმის „მკვდარი წერტილიდან“ დაძვრისთვის ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად სწორედ „ოქროს საწმისის“ გამართვა მივიჩნეთ. საერთოდ, სამომავლოდ განზრახული გვაქვს კლუბის შექმნა, რომელიც სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს და სპეციალისტებს გააერთიანებს, თორემ, ვითომდა ბევრი ძიძის ხელში, ავტოსპორტი, ფაქტობრივად, ბედისა და თითო-ორი ენთუზიასტის ამარაა მიტოვებული. თუმცა, მომავლის გეგმები ცალკე საუბრის თემაა.

რაც შეეხება „ოქროს საწმისს“, რომელსაც 7 ივლისს მიეცემა სტარტი, ეს იქნება არა მარტო სპორტული ავტომანქანების რბოლა. გვინდა, რომ შეიქმნას ერთგვარი სადღესასწაულო ატმოსფერო, რომელშიც, გარდა სპორტსმენებისა, ჩვენი თანაქალაქელებიც მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას. განზრახული გვაქვს მოვაწყუთ რეტრო და თვითნაკეთი მანქანების დათვალიერება-კონკურსი (აქვე დაეძინეთ, რომ სამომავლოდ განზრახული გვაქვს სპეციალური კლუბის ჩამოყალიბებაც). ასეთი მანქანების მფლობელებს ახ-

ლავე ვთხოვთ შეეხმანონ საორგანიზაციო კომიტეტს. გარდა ამისა, სტარტის დღეს მოეწყობა სპორტული საქონლით, სპეციალური ბეჭდვითი პროდუქციითა და, რაც მთავარია, დეფიციტური ავტონაწილებით ვაჭრობა, დაიდგმება კომპიუტერული ავტოთამაშები და გათამაშდება ერთგვარი პირველობა. აუცილებლად მოეწყვეთ ვეტერან ავტოსპორტსმენებს, გავმართავთ საჩვენებელ გამოსვლებს. ერთი სიტყვით, გვინდა მოვაწყუთ ერთგვარი შოუ, რომელიც ერთის მხრივ ხელს შეწყუთავს ავტოსპორტის პროპაგანდას, მეორე მხრივ კი სასიემო განწყობილებას შექმნის რალის სტარტის სანახავად მოსულ თბილისელებს.

ყურადღების გარეშე არც თავად რალის მიმდინარეობის უშუალო ნახვის მსურველები დაგვრჩებიან. გაიყიდება სპეციალური რუკები. მათზე იქნება რალის ტრასის სქემა და ის ადგილები, სადაც ავტოსპორტის მოყვარულებს შეეძლება მისვლა და რბოლისთვის თვალყურის დევნება.

რაც შეეხება თვითონ ასპარეზობას, რალის ტრასა 600 კილომეტრია, 220 კილომეტრი საერთო ხაზრბის 20 ჩქაროსნული მონაკვეთით. რბოლა დაიწყება 7 ივლისს, დილის 10 საათზე და დამთავრდება 8-ში, დილით. პირველ თანრიგზე დაბალი ოსტატების სპორტსმენები შეჯიბრებან არ დაიშვებიან. გარდა ამისა, ისპარეზებენ მოყვარულებიც, ოღონდ იმ პირობით, რომ მათი მანქანების ტექნიკური აღჭურვა შეეფერებოდეს შეჯიბრების დებულებით გათვალისწინებულ ნორმებს.

გათვალისწინებულია მრავალი გილოლი, მათ შორის ფულადიც, მაგალითად, პირად პირველობაში გამარჯვებული ეკიპაჟი დაჯილდოვდება 2000 მანეთით.

და ბოლოს, რაც მეტი ხალხი იყოლებდა „ოქროს საწმისს“, მით უკეთესი. ჭეჩვრობით ასეთი სურვილი გამოთქვა ბოლნისის „სიონის“ საფეხბურთო კლუბმა, რომელმაც 5.000 მანეთი ჩარიცხა შეჯიბრების ფონდში. იმედი გვაქვს, რომ რალის მანქანებზე და ტრასაზე საკუთარი ნაწარმის რეკლამის სურვილს ბევრი ორგანიზაცია გამოთქვამს.

აქვე გაგაინობთ „ოქროს საწმისის“ საორგანიზაციო კომიტეტის სამარაოს: თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „არგონავტები“, ტელეფონები: 36-61-84, 36-65-60.

ესუბრა ბიორბი კორკია.

პართული პრესა წარდა...

აკაკის წერილი

„ქველად საქართველოში ბურთაობა იყო შემოღებული. დიდი და პატარა, მოცლის დროს, გატაცებული იყო მითი.

კრება ორ დასად, ორ მხარედ, იყოფოდა: ორივეს თავ-თავისი ლელო ჰქონდა დანიშნული, მარჯვნივ და მარცხნივ, და დანიშნულადაც ორივეს ის იყო, რომ ბურთი იმ დანიშნულ ლელომდე მიეტანა. ორივე მხარე სცილობდა, რომ გაემარჯვნა და ამ უბრალო თავმოყვარეობის გამო ერთმანეთს აღარ სზოგავდნენ: სწიქნიდნენ და გლეჯდნენ. მამა შეიღოს აღარ ზოგავდა, შეიღო — მამას და მამა — ძმას. უფრო კუდი იყო კრივი (ყვირება): ისე გაშვავდებოდა ხოლმე ხან და ხან, რომ ხელ-კეტებით დაეროდნენ ერთმანეთს და ქვებს გაჰქონდათ ზუზუნი. მამინ აღარავის ახსოვდა აღა-

რადერი სიმართლე: გარდა პარჯევან-არადანისა“ და ნათესაობა, მეგობრობა და ყოველგვარი დამოკიდებულობა, საზოგადო რაც იყო, ბრძოლის გათავებამდი მიეწყებოდა იყო.

ეს სენი ჩამომავლობით ძვალსა და რბილში ჰქონდა ქართველს გამჯდარი და რაღაიკი კრივიც და ბურთაობა დღეს გადავარდნილია, სამაგიეროდ კენჭობას მიეგება ქართველობა! ეს სენი იმ, ზემოხსენებულ ორივე სენზე უარესია: ის სხეულს მინც ავარჯიშებდა და ერთმანეთის წინააღმდეგობა, თამაშობის გათავებმისთანავე თავლებოდა და ეს კი, კენჭობა, პრყენის საზოგადოების სულს და გულს და სთესავს საშვილიშვილო მტრობას...“

„თეში“, 1918 წ. 18 თებერვალი.





მერვედფინალაბი



მსოფლიო XIV საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო მატჩის დამთავრების შემდეგ გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა მოახდინა მერვედფინალური წყვილების წილისყრა. აი მათი შედეგები:

23 ივნისი
ნეაპოლი. **კამერუნი — კოლუმბია**

ბარი. **ჩინეთ-სლოვაკეთის ფ.**

დერატიული რესპუბლიკა — კოსტა-რიკა

24 ივნისი
ტური. **ბრაზილია — არგენტინა**

მილანი. **გერმანიის ფედარაციული რესპუბლიკა — კოლანდია**

25 ივნისი
გენუა. **ირლანდია — რუმინეთი**

რომი. **იტალია — ურუგვაი**

26 ივნისი
ვერონა. **ესპანეთი — იუგოსლავია**

ბოლონია. **ინგლისი — ბელგია**

მერვედფინალიდან დაწყებული გათამაშება გაგრძელდება გამოთიშვითი წესით, ბრძოლას განაგრძობენ მხოლოდ გამარჯვებულნი.

27-დან 29 ივნისამდე მსოფლიო

ჩემპიონატზე დასვენების დღეებადა მხოლოდფინალში დაწყებულიდან ბრაზილია — არგენტინის და ესპანეთი — იუგოსლავიას, იტალია — ურუგვაის, ჩეხოსლოვაკია — კოსტა-რიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — კოლანდიის, კამერუნ — კოლუმბიის და ინგლის — ბელგიის წყვილებში გამარჯვებულნი.

ამ შეხვედრათა ტელეტრანსლაციის განრიგი გამოცხადდება.

ბასრულა სა აპგაში...

(დასასრული)

თავს. მაგრამ აქაც შემცველად გამოსულმა ურუგვაელმა დანიელ ფონსეკამ თამაშის ბოლო, 90-ე წუთზე გაიტანა გადაწყვეტი გოლი — 1:0.

ბელგიელებმა ვერონაში ვერაფერი გააწყეს ესპანელებთან შეხვედრაში. მარათალია, ესპანელი მიჩელის მიერ გატანილი 11-მეტრიანის შემდეგ მათ, სულ მცირე ხანში, ვერვორტის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოს დარტყმით ვათანაბრეს ანგარიში. მაგრამ 39-ე წუთზე ესპანელთა მცველმა ალბერტო გორისმა მეტად ეფექტური თავური დარტყმით გამარჯვების ბურთი გაიტანა ბელგიელთა კარში — 2:1. ბელგიელთა „ტრაგედია“ იმით დამთავრდა, რომ მათი საუკეთესო მოთამაშის ენცო შიფოს მიერ დარტყმული 11-მეტრიანი ზედა ძელს მოხვდა და ბელგიელებმაც ხელიდან გაუშვეს ქულის აღების საუკეთესო შესაძლებლობა.

ბოლო ტურში ირლანდიისა და კოლანდიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, ხოლო ინგლისელებმა დაამარცხეს ეგვიპტელები — 1:0.

VI ტურში ირლანდიისა და კოლანდიის გუნდებს ყველა მიჩვენებელი ერთხაირი აღმოაჩნდათ. მათ შორის მოეწყო კენჭისყრა, ჯგუფში მეორე ადგილი მიეკუთვნათ ირლანდიელებს.

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გუშინ მოაწყო მერვედფინალური ეტაპის წილისყრა.

ფარმოგიდგანეთ მონაწილეებს • „3“ ჯგუფი



იტალია



ირლანდია



რუმინეთი



ჩეხოსლოვაკია

„ა“ ჯგუფი

იტალია	6	1
კამერუნი	2	3
აზრ	0	4
სლოვაკეთი	4	2

„ბ“ ჯგუფი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	3	3
კამერუნი	4	1
სსრ კავშირი	2	4
რუმინეთი	3	2

„გ“ ჯგუფი

ბრაზილია	6	1
ესპანეთი	0	4
ურუგვაი	2	2
კოსტა-რიკა	4	0

„დ“ ჯგუფი

აზრ	5	1
ინგლისი	4	2
არგენტინა	0	4
კოლუმბია	3	2

„ე“ ჯგუფი

ბელგია	4	2
სსრ კარა	0	4
ურუგვაი	3	1
ესპანეთი	5	1

„ვ“ ჯგუფი

ინგლისი	4	1
ირლანდია	3	1
კოლანდია	3	0
ესპანეთი	2	0

რატრო ბრაზილიელმა არაფერს ველონ

ბრაზილიელ ფეხბურთელთა პირველ ტრიუმფს, ლოგიკურად, მეორე არანაკლებ ლამაზი და შთაბეჭდვითი გამარჯვება მოჰყვა. მსოფლიო დარწმუნდა, რომ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთი დიდხანს მოდების კანონმდებელი იქნებოდა და ახალ საფეხბურთო იდეებს სწორედ ეს კონტინენტი შექმნიდა. მაგრამ ბრაზილიელები არაფრის შეცვლას არ ამბობდნენ. შვეიციის ჩემპიონატმა მათ დაიწყო წარმატება მოუტანა და რადიკალურ გარდაქმნაზე ფიქრი მხოლოდ უახლოესი იქნებოდა. მით უფრო, რომ მსოფლიო ჩემპიონმა აღინდელი შემაღვენლობა თითქმის მთლიანად შეინარჩუნა (ეილმარი, ჯ. და ნ. სანტოსები, ზიტო, დიდი, გარინჩა, პელე, ზაგალი).

1962 წლის ჩემპიონატი (ჩილე, 30 მაისი-17 ივნისი) ბრაზილიელებმა მექსიკისთან გამარჯვებით დაიწყეს (2:0). ყველაფერი თითქოს რიგზე იყო, მაგრამ მეორე შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიასთან ჩემპიონის აწყობილ მექანიზმს ბზარი გაუჩნდა (0:0). სპეციალისტებმა ბრაზილიელთა წარუმატებლობა მეტოქის სიძლიერეს დაუკავშირეს, განსაკუთრებით მცველთა (სადაც გამოირჩეოდნენ ექსტრა-კლასის ფეხბურთელები — პოლუხარი, პლუსკალი, მასობუსტი) და მეკე-

რის (შროიფი) უშეცდომო თამაშს.

ბრაზილიელებმა ამ შეხვედრაში მძიმე დანაკლისი განიცადეს — დაშავდა პელე, რომელმაც ვეღარ შესძლო ტურნირის გაგრძელება. სამაგიეროდ მის ადგილზე დადგა ახალგაზრდა, ენერგიული ამარილო.

ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი ჩემპიონმა ესპანეთის გუნდს მოუგო — 2:1. სხვათა შორის, ორივე ბურთის ავტორი გახლდათ სწორედ ამარილო. მეორე კი დაიწყო: მეოთხედფინალში მსოფლიო ჩემპიონმა ინგლისს აჯობა (3:1), ნახევარფინალში — ტურნირის მასპინძელს ჩილეს (4:2), ფინალში კი ჩეხოსლოვაკია დაამარცხა (3:1), გუნდი, რომელსაც ერთი კვირით ადრე ჯგუფური ტურნირში ვერაფერი მოუხერხა.

ბრაზილიელებმა მეორედ მოიპოვეს ჩემპიონის სახელი და ოთხი წლით წაიღეს შინ ტურნირის მთავარი ჯილდო — ოქროს ქალღმერთი ნიკე.

სურათზე: დგანან (მარცხნიდან) — მწვრთნელი მორიერა, ჯ. სანტოსი, ზიტო, ეილმარი, ზოზიშო, მაურო, ნ. სანტოსი; პირველ რიგში — ექიმი-ფსიქოლოგი გოსლინგი, მასობუსტი — ამერიკო გარინჩა, დიდი, ვაჟა, ამარილო, ზაგალი.



საპარტიველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 21 ივნისი.

„უნივერსიტეტი“ (თბილისი) — „ელმავალი“ (თბილისი) 16:56 (0:20)

მასპინძელთა დაუდევრობის შედეგად, მატჩის წინ მოულოდნელი პრობლემა წარმოიქმნა: ორივე გუნდი მოედანზე ზუსტად ერთხაირი ფორმით გამოვიდა. ამან, ცხადია, გარკვეული სირთულეები შეუქმნა თვით მორაგებებს, მაყურებლებს და ახალბედა მსაჯს და კომლაძეს, მაგრამ, მოთამაშეთა და არბიტრის სასახელოდ, შეხვედრა ნორმალურად ჩატარდა.

პირველივე წუთებიდან შეტევაზე გადასულმა „ელმავალმა“ სათამაშო ინიციატივა იგდო ხელთ. შესვენებამდე ნატროშვილმა ორჯერ, საცერაძემ და მანთიძემ გაიტანეს თითო ლელო, რომელთაგან ორი გარდასახა ჩიქვინიძემ. „უნივერსიტეტი“ ასე თუ ისე უმკლავდებოდა მეტოქის იერიშებს, შეტევით კი იშვიათად აწუხებდა მას.

მეორე ნახევრის დასაწყისში რკინიგზელებმა წამიერი მოღუწების უფლება მისცეს თავს, რაც არ აპატიეს სტუდენტებმა და მარგიშვილმა ლელო გაიტანა. ამან „გაბარა“ „ელმავალი“ და მატჩის ბოლომდე მას სრული ტერიტორიული უპირატესობა ხელიდან არ გაუშვია. სტუმრები მრავალფეროვნად უტყვევდნენ, ის რვა ლელო, რომლებიც მათ გაიტანეს, კოლექტიური მოქმედების შედეგი იყო. წარმატებას მიღწევს: ორ-ორჯერ ჩიქვინიძემ, მანთიძემ და ლაბაძემ, თითოჯერ — მარჯანიშვილმა და გ. გუგუშვილმა, ერთი ლელო გარდასახა მარჯანიშვილმა, ერთი — ჩიქვინიძემ.

თამაშის ბოლოს უნივერსიტეტელებმა ისლა მოახერხეს, რომ დაშვებულ და დაწყნარებულ მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს. იმარჯვეს მარგიშვილმა და ლიბრაძემ. გარდასახვა ორივეჯერ ახლობაძემ გამოიყენა.

საბურნორო ცხრილი

მდგომარეობა 28 ივნისისთვის

„ა“ ჯგუფი

„მიმიო“	8	7	0	2	14
„აია“	6	6	0	0	12
„აკადემია“	8	3	1	4	7
„იმერეთი“	9	3	1	5	7
„სტუ“	9	3	0	6	6
„შეგარდენი“	9	2	0	7	4

„ბ“ ჯგუფი

„ახოციაცია“	8	6	0	2	12
„გელათი“	8	6	0	2	12
„ელმავალი“	5	5	0	10	
„ზოოვეტი“	8	2	0	6	4
„უნივერსიტეტი“	8	2	0	6	4
„სათაფლია“	7	1	0	6	2

კვირას, 24 ივნისს, „ელმავალი“ მიიღებს „ზოოვეტს“, ვარკეთილში „უნივერსიტეტი“ უმასპინძლებს „ახოციაციას“, ხოლო სსი-ს სტადიონზე „აკადემია“ შეხვედრას „იმერეთს“.

მერაბ რატიშვილი.

რედაქტორი
თ. ბაჩიჩილაძე.

თბილისის ეროვნული სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი № 2)

25 ივნისი

ფეხბურთი

საპარტიველოს ეროვნული ჩემპიონატი

„იბერი“ (თბილისი) — „მეიური“ (გალი)

დასაწყისი 20 საათზე მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალონებში 23, 24, და 25 ივნისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).